

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს
პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის
კანდიდატის შეფასების ფორმა

აღუშსანდო კომაიტის
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით			
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input checked="" type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	11	25	
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	25	
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	20	
პროფესიული თვისებები	12	15	
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10	
პროფესიული აქტივობა	4	5	
ქულათა ჯამი	70	100	

სახელი, გვარი: № . 37/1...
 თარიღი: 25.04.2024 წ.



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი დიმიტრი გვრიტიშვილი

2024 წლის 25 აპრილი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - ალექსანდრე კობაიძის

შეფასება

1. პროცედურის შესახებ:

- 1.1. „საბჭოს“ 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.
- 1.2. „საბჭოს“ 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა ალექსანდრე კობაიძე (შემდგომში - „კანდიდატი“).
- 1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - „კანონი“) 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცან დეტალურად.
- 1.4. „კანონის“ 34¹ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 27 მარტს, ჩემი მონაწილეობით, „საბჭო“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.
- 1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ „კანონის“ 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - „კანონის“ 35¹ მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. „საბჭო“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოაღვებული ინფორმაცია:

- 2.1.1. „კანდიდატი“ 38 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (ბაკალავრი; შოთა რუსთაველის სახელობის რუსთავის საერთო უნივერსიტეტი, 2008წ; მაგისტრი;

— · პატი —

სდასუ, 2017წ). სპეციალობით მუშაობს დაახლოებით 10 წელია. კერძოდ: 2014 წლიდან დღემდე - არის ადგოვატი; ასევე - მონაწილეობდა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე ა(ა)იპ ორგანიზაციების (მაგ: „ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაცია“) მუშაობაში, მათ შორის - დამფუძნებლის/ხელმძღვანელის რანგში.

2.1.2. „კანდიდატის“ შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები „კანდიდატს“ დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიურებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

2.1.3. „კანდიდატის“ შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია მის საადვოკატო და პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით. მედიაშემსრულებელი გააშუქა ცნობა „კანდიდატის“ გენერალური პროცესორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, ომბუდსმენის, ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის შესარჩევ კონკურსებში მონაწილეობის თაობაზე. ხელმისაწვდომია მისი საჯარო განცხადებები. „კანდიდატი“ სარგებლობს სიციალური ქსელებით. იგი არის პოლიტიკური პარტია „ხალხის პარტია“ დამფუძნებელი/ წევრი; ასევე - 2014 წელს იყო მერობის კანდიდატი, წარდგენილი პარტიისაგან „სალომე ზურაბიშვილი - საქართველოს გზა“.

2.1.4. „კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხები, დიდი რაოდენობით ვალაგადაცილებებით და ჯარიმებით. „კანდიდატს“ ეკუთვნის აგარაკი მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მამკოდაში, მიწის ნაკვეთით 600 მ². სამეწარმეო რეესტრში არსებული ინფორმაცია არ არის შესაბამისობაში მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან, კერძოდ: დეკლარაციაში არ არის მითითებული კანდიდატის სასესხო ვალდებულებების შესახებ, ასევე - მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრში მის შესახებ ასახული, გარკვეული ინფორმაცია, კერძოდ:

- დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაცია, დირექტორი;
- შპს აღმოჩენდრე კობაიძის საადვოკატო ბიურო, დირექტორი;
- შპს ჯი ემ თაივი, შეწილე, დირექტორი;
- ახალგაზრდა უფლება დამცველთა ასოციაცია;
- ა(ა)იპ კობაიძის საქველმოქმედო ფონდი, დირექტორი;
- შპს ლენდს.ჯი, მეწილე, დირექტორი;
- მოძრაობა სოლიდარობა, დამფუძნებელი;
- შპს იურიდიული ჯგუფი ემ-ეი-პი ლიგალი, მამულაშვილი და პარტნიორები, მეწილე.

2.1.5. ბოლო სამი წლის განმავლობაში, „კანდიდატი“ 31 შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების (საგზაო მოძრაობის

წესების დარღვევა) ჩადენისათვის; ჯარიმები ვადაგადაცილებითაა გადახდილი, საურავებთან ერთად, ამასთან - 3 შემთხვევაში ჯარიმა გადაუხდელია.

2.1.6. „კანდიდატი“ მხარედ მონაწილეობდა და მონაწილეობს 21 მიმდინარე/დასრულებულ სამოქალაქო საქმეში; დაზარალებულად ცნობილი სისხლის სამართლის საქმეზე არ ყოფილა. სსიპ ადვოკატთა ასოციაციის ცნობით, მის მიმართ შეფარდებული და გაუქარწყლებელი დისციპლინური სახდელი არ არსებობს.

2.1.7. „კანდიდატმა“ წარმოადგინა სტატია და ნაშრომი, კერძოდ:

- სტატია: „ნარკოტიკული დანაშაულის სისხლის სამართლებრივი დახასიათება“;
- ნაშრომი: „მხარეთა მორიგების სამართლებრივი ბუნება სამოქალაქო სამართალწარმოებაში“.

2.1.8. „კანდიდატს“, მისივე განცხადებით, მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო სტუდენტურ პროგრამებში და სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში.

2.1.9. „კანდიდატს“ ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა 2014 წელს; 2009-2012 წლებში იყო პრეზიდენტის სტატუსში მიღებული არის გრიფოლ რობაქიძის სახელობის (ალმა-მაცერის) სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დოქტორანტი.

2.1.10. „კანდიდატი“ არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.


2.1.11. „კანდიდატი“ ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

2.2. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედევად მოპოვებული ინფორმაცია:

2.2.1. „კანდიდატის“ საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია (იხ: <https://www.youtube.com/watch?v=10V0x58o-x8>). მას „საბჭოს“ წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „კანდიდატის“ პასუხები არ იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული; გარდა ამისა, მან დაუშვა აშკარა შეცდომები სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, ან - თავი აარიდა პასუხს, ანდაც მისი პასუხები, როგორ შემთხვევაში, იყო არაადეკვატური. ამგვარი შეცდომები/ ხარვეზები მის პასუხებში დავაფიქსირე კითხვების დაახლოებით 55% შემთხვევებში. თვალსაჩინოებისათვის, აღსანიშნავია რამდენიმე შაგალითი:

2.2.2.1. შეკითხვაზე, თუ რატომ უწოდა „კანდიდატმა“ ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის საქმეზე ბრალდებული პირებისათვის აღკეთის ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების შესახებ სამართლოს 2020 წლის 28 ივნისის განჩინებას „სამარცხვინო“ (იხ: <https://1tv.ge/news/aleqsandre-kobaidze-samarckhvinoa-sasamartlos-gadawyvetileba-moqmed-sportsmenebs-19-20-wlis-bichebs-kariera-daengrat/>), „კანდიდატმა“ ეს ახსნა გამოხატვის თავისუფლებით და ადვოკატის „გამოდულებით“;

სელიმიშვილი: 

2.2.2.2. შეკითხვაზე, თუ რატომ არ იყო მის მიერ წარმოდგენილი დეკლარაცია სრულყოფილად შევსებული (იხ: ამ შეფასების 2.1.4 პუნქტი), „კანდიდატმა“ უპასუხა, რომ ეს იყო „ტუქნიკური შეცდომა“;

2.2.2.3. „კანდიდატმა“ ვერ შეძლო ე.წ. აბსოლუტური უფლებების ამომწურავად ჩამოთვლა;

2.2.2.4. „კანდიდატმა“ განაცხადა, რომ მისთვის უცნობია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ახალი გადაწყვეტილება ოჯახური ძალადობის პრეცენციასთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შესახებ - „გაიდუკეციჩი საქართველოს წინააღმდეგ“ (არადა, „კანდიდატმა“ განაცხადა, რომ ამ კატეგორიის საქმეებში აქვს მდიდარი საადვოკატო პრაქტიკა);

2.2.2.5. „კანდიდატმა“ ვერ შეძლო ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვის წინაპირობებსა და წესზე სათანადოდ არგუმენტირებული და სრული პასუხის ჩამოყალიბება (ფაქტიურად, ისაუბრა მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას „დასაბუთებული ვარაუდის“ სტანდარტის გამოყენებაზე);

2.2.2.6. „კანდიდატმა“ არ იცის, რამდენი მუხლისაგან შედგება საქართველოს ძირითადი კანონი - კონსტიტუცია;

2.2.2.7. „კანდიდატმა“ ვერ ჩამოაყალიბა სამართლებრივი სახელმწიფოს ნორმატიული ელემენტები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით; მისი მსჯელობა იყო ზოგადი და ზერელე;

2.2.2.8. „კანდიდატმა“ არ იცის, თუ რა მექანიზმს ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-16 თქმი და ა.შ.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმაცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - ავმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული 4-ვე მახასიათებლის (არასამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის): ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“, ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა“, გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა“ და დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია“ - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმაციის გამაქარწყელებელი, სანდო ინფორმაცია.

3.2. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

3.2.1. სამი წლის განმავლობაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის დასდგენი კანონმდებლობით გათვალისწინებული 31 სამართალდარღვევის ჩადენა ადასტურებს, რომ „კანდიდატს“, როგორც მოქალაქეს, არ აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება; ხოლო

ხელმოწერა: ა. გ/მ 7.

დაკისრებული ჯარიმების დაგვიანებით გადახდა და 3 შემთხვევაში საერთოდ გადაუსდელობაც, ასევე - თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიუთითებლობა მეტყველებს იმაზე, რომ „კანდიდატს“ არ ახასიათებს სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულების შესრულებისას.

„კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებლით - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“ (იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების მხედველობაში მიღებით) აღნიშნული კომპონენტების უარყოფითი შეფასებაც საკმარისია, დავასკვნა, რომ „კანდიდატი“ არ აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

3.2.2. „კანდიდატი“ არის პრინციპული, ძალუმს დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, აქვს ზეგავლენის მიმართ მედეგობა და პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა, რის გამოც მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

3.2.3. ამ შეფასების 2.2.2.1 პუნქტში ასახული ფაქტი და მისდამი „კანდიდატის“ დამოუკიდებულება არ ადასტურებს მის კორექტულობას მისი პროფესიის მომსჯნავე პროფესიის წარმომადგენელ პირებთან - მოსამართლეებთან ურთიერთობაში, ასევე - არ ადასტურებს, რომ მას გააჩნია საკუთარი ემოციების მართვის უნარი. ამიტომ, მიქირს დავასკვნა, რომ ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართლწარმოება) დროს, „კანდიდატის“ ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/ სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ არ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

3.2.4. „კანდიდატის“ საქმიანი და მორალური რეპუტაციის / ავტორიტეტის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

3.2.5. ვინაიდან მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 4 მახასიათებლიდან მხოლოდ 2-ს აკმაყოფილებს, გავაკეთე „კანონის“ 35¹ მუხლის მე-15 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი“ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

ხელმოწერა: და - ბეჭედი.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. ამ შეფასების ზემოთ, 2.2.2 პუნქტი აღწერილი შეცდომების/ ხარვეზების შემთხვევების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მინიმალური ცოდნა. შესაბამისად, „კანდიდატი“, „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით, შეფაფასე 11 ქულით („კანონის“ 35¹ მუხლის მე-16 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის დახლოებით 45%).

4.1.2. „კანდიდატის“ გააჩნია ანალიტიკური აზროვნების გარკვეული უნარი და საადვოკატო საქმიანობის სფეროში მუშაობის გარკვეული პროფესიული გამოცდილება. თუმცა, მას არ გააჩნია არათუ მოსამართლედ, არამედ - სასამართლო სისტემაში მუშაობის რაიმე გამოცდილება მაინც.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“, „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 20 ქულით („კანონის“ 35¹ მუხლის მე-16 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 80%).

4.1.3. „კანდიდატი“ მირითადად გამართულად მეტყველებს, აზრს მირითადად ნათლად და გასაგებად გადმოცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობის ლოგიკურად, ღიაა და სხვის აზრს (მათ შორის - განსხვავებულს) ისმენს მოთმინებით.

„კანდიდატის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (იხ: ამ შეფასების 2.1.7 პუნქტი) შესწავლით დავადგინე, რომ „კანდიდატის“ მსჯელობა მირითადად ლოგიკური და ანალიტიკურია, თუმცა - ხშირად სათანადოდ არ იყენებს სასვენ ნიშნებს, ასევე - ხშირადაა გამოყენებული რთული თანწყობილი/ქვეწყობილი წინადადებები, რაც აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემას გარკვეულწილად აფერხებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“, „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 15 ქულით („კანონის“ 35¹ მუხლის მე-16 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 75%).

4.1.4. „კანდიდატი“ მირითადად პუნქტუალურია, შრომისმოყვარე, მიზანდასახული, აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. თუმცა, იმის გამო, რომ მას არ აქვს მოსამართლედ ან სასამართლო სისტემაში მუშაობის რაიმე გამოცდილება, მიჭირს დავასკვნა, რომ მას აქვს სათანადო მენეჯერული უნარები - იმუშაოს სტრუქტულ სიტუაციაში და გაუმკლავდეს მოსამართლის რთული საქმიანობისთვის დამახასიათებელ გამოწვევებს.

ხელისახვა

— ავთ 7 —

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“, „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „პროფესიული თვისებების“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 12 ქულით („კანონის“ 35¹ მუხლის მე-16 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 80%).

4.1.5. „კანდიდატი“ პროფესიული წვრთნის პროგრამებში არცთუ ხშირად მონაწილეობს; ამდენად, მას გააჩნია გარკვეული ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენაზე, ზრუნავს ოვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შემენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“, „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 8 ქულით („კანონის“ 35¹ მუხლის მე-16 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 80%).

4.1.6. „კანდიდატი“ იშვიათად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმაზულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავდა ღიად და თავისუფლად, გამოიჩენდა ინიციატივას და წამოაყენებდა იდეების/წინადადებებს. ასევე, არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 4 ქულით („კანონის“ 35¹ მუხლის მე-16 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 80%).

4.2. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, „კანდიდატს“ ვანიჭებ 70 ქულას (11+20+15+12+8+4).

ხელისაწევა:

№ . ვწმა 7...